ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №117

ქ. მცხეთა

31 აგვისტო 2012 წელი №117

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 01 აგვისტოს №1533 განკარგულების თანახმად, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ცეკური" მისი დირექტორის ბექა ხაბულიანის სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქ. მცხეთაში, ისტორიულ უბანში, სამხარეო ადმინისტრაციული შენობის წინამდებარე გზის სამშენებლო სამუშაოები. ( CPV45200000)

## სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადაა 20 სექტემბერი.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 159 700 (ასორმოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარი;

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის და ფორმა №2-ის საფუძველზე.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.1.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას.
4.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი სამუშაოს ღირებულების 1.0%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების მონიტორინგს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ილია ოდიშელიძე, შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული და მოწვეული ექსპერტი.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ურთიერთო მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"

შპს „ცეკური"
ს/კ 209442174
ბანკი: „თი ბი სი ბანკი "

ბანკის კოდი: **TBCBGE22**
ა/ა **GE78TB0600000055360255**
მის: თბილისი, ხიზაბავრების №1

დირექტორი

ბ. ხაბულიანი

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 236094196
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ა/ა **GE93LB0120130269077000**
მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის №73

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გ. ატაშვილი